№ 11—1917
კვირა მარტის 12

წელიწადი მეხუთე გამოცემისა | ფასი 15 კ.

აღმასრულებელი კომიტეტი

(რომელმაც ძველი მთავრობა დაამხო და ახალი აირჩია)

მ. როძიანკო (1), ნ. ჩხეიძე (2), ა. კერენსკი (9), ვ. შულგინი (10), პ. მილიუკოვი (3), მ. კარაულოვი (8), ა. კონოვალოვი (11), ი. დმიტრიუკი (5), რჟევსკი (7), ს. შიდლოვსკი (4), ნ. ნეკრასოვი (12), ვ. ლვოვი (6).

მოქალაქენო! მხარი მიეცით ახალ მთავრობას ბ ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

მარტის 12.

რა მოხდა? აფრიალდა წითელი დროშა! „ნებითა ღვთისათა“ ტახტზე ასული ძალითა ხალხისათა ჩამობძანდა!

დაემხო რუსეთის თვითებყრობელი მთავრობა,—ის მთავრობა, რომელმაც აუარებელი უბედურება მოავლინა ქვეყანას!

დაემხო ხალხის სულთამხუთავი, გაუმაძღარი სისხლის მწოველი.

დემოკრატიამა და ბურჟუაზიამ, მუშა ხალხმა და ჯარმა შესძლო ეს დიდებული გმირობა.

დიდება და უკვდავება მათ!

დღეიდან ქვეყანა თავისუფლად სუნთქავს!

ბორკილები აეხსნა იმათ, რომელნიც ხალხის განთავისუფლებას ცდილობდენ ბორკილებისაგან და ძველი მთავრობისაგან უსამართლოდ სდნებოდენ ციხის ჯურღმულებში.

შორს არა ის დრო, როდესაც მოწვეულ იქმნება დამფუძნებელი კრება. ეს კრება შეიმუშავებს ძირითად კანონებსა და ქვეყნის მართვა-გამგეობის წესებსა.

ჯერხნობით კი სახემწიფოს სათავეში უდგას დროებითი მთავრობა.

ჩვენი გულითადი სალამი ეანახლებულ რუსეთსა და ხალხის ნდობით აღჭურვილ მის ახალ მთავრობას!

მოქალაქენო, ყველა თქვენ, ვინც ძველი წესით უკმაყოფილონი იყავით და ახალს შესტრფოდით, აჰა, ახალიც, ფრიალებს წითელი დროშა და მისი მთავრობა გამგებლობს: საბოლოოდ გავამარჯვებინოთ მას.

გაუმარჯოს ახალ რუსეთს!
გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!
გაუმარჯოს დემოკრატიას!
გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას.

ქართველ დემოკრატიას!

ამხანაგებო!

დიდ რუსეთთან შედარებით ჩვენის რიცხვითა და სამშობლოს სივრცით ერთს წვეთს წარმოვადგენთ ზღვაში.

მიუხედავათ ამისა ჩვენ ძლიერნი ვართ სულით.

ჩვენი სულის სიძლიერე იმდენათ დიდია, რომ ჩვენისთანა პატარა ერს დიდი რუსეთის დროებით მთავრობაში თვისი წარმომიდგენელი ჰყავს—კარლო ჩხეიძე.

ქართველებს სრული უფლება გვაქვს, ვიამაყოთ ამ გარემოებით.

ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს, რომ რუსეთის დროებით მთავრობაში ერთი წევრი ქართველი დემოკრატიის წარმომადგენელი იყო.

ვინ შექმნა ჩვენი სულის სიძლიერე, ვინ გვარგუნა ეს უფლება, ვამაყობდეთ დღეს ჩვენის თავით?

თქვენ, ამხანაგებო!

ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ქართველმა დემოკრატიამ აამაღლა ჩვენი სამშობლო იმდენათ, რომ რიცხვით მცირე ქართველი ერი რუსეთის დროებით მთავრობას ერთ საუკეთესო წევრს აძლევს.

კარლო ჩხეიძის სახით დიდმა რუსეთმა პატარა საქართველო მიიწვია და ეუბნება მას: შენ აუცილებლათ საჭირო ხარ, რომ მე განვახლდე ღა დემოკრატიული წყობილება მოვიპოვოო.

ამხანაგებო!

თქვენ რომ მარტო ამით დაკმაყოფილდეთ, თქვენს მოწოდებას, თქვენს დანიშნულებას, თქვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე უღალატებთ: თქვენ ვალდებული ხართ, თქვენ ისტორია გიკარნახებთ, თქვენი დიადი საქმე ბოლომდი მიიყვანოთ და თქვენს მშობელ ერს მოუპოვოთ ისეთი წყობილება, ურომლისოთაც მას არ შეუძლია განახლებულ რუსეთში განვითარება.

ეს არის ტერიტორიალური ავტონომია განახლებული რუსეთის მფარველობის ქვეშ.

თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენ ვალდებული ხართ, ეს შეასრულოთ.

მთელი სამშობლო თქვენ შემოგყურებთ, მთელი ჩვენი ისტორია თქვენ მოგჩერებია.

დიდებული ხართ, ამხანაგებო, დიდებული დარჩით ბოლომდე.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება ქართველი დემოკრატიის საბოლოო მიზანს, პირიქით ის ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის საბოლოო მიზანს.

მაშ რატომ არ უნდა გაისმას თქვენი პირიდან მედგარი ჰექა:

გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიასო!

უნდა გაისმას და მე მრწამს, რომ გაისმის.

ამას ითხოვს თქვენგან თქვენი დაჩაგრული სამშობლო, ამას გავალებთ თქვენ ჩვენი ისტორია.

თქვენ ამით არასფერს ახალს არ მოსთხოვთ განახლებულ რუსეთს,—თქვენ მოითხოვთ მხოლოდ იმის დაბრუნებას, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

განახლებულმა რუსეთმა მოსპო ძველი რეჟიმი, დაიბრუნა და აღადგინა თვისი უფლებანი.

ის ვალდებულია, მან უნდა დაგვიბრუნოს ის უფლებანი—ქართველი ერის უფლებანი, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა და ფეხქვეშ გათელა.

მესმის, თქვენ ამბობთ, ამხანაგებო, სამისო დრო არ არის, დღეს ცალკე ეროვნებათა უფლებაზე ლაპარაკი უალაგოაო.

არც მე გეუბნებით, რომ დროებით მთავრობას მიმართოთ. თქვენ დღესვე უნდა შეუდგეთ მზადებას და, როდესაც დამფუძნებელი კრება შესდგება, წარსდგეთ მის წინაშე და მოითხოვოთ ქართველი ერის ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენა.

ამხანაგებო, თქვენ გახარებთ თავისუფალი რუსეთი.

ნუ თუ თქვენს გულს თავისუფალი საქართველო ნაკლებათ გაახარებს?

მაშ იცოდეთ, რანაირათაც უნდა განახლდეს რუსეთი, საქართველო ვერ განახლდება, თუ მან არ დაიბრუნა, არ აღიდგინა, რაც მას წაართვეს:

ტერიტორიალური ავტონომია რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამხანაგებო! თქვენ სისხლსა ღვრიდით რუსეთის განახლებისათვის.

და დღეს, როდესაც რუსეთი განახლდა, ნუ თუ ხმას არ აამაღლებთ თქვენი სამშობლოს ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენისათვის?

ივ. გომართელი

საღღეისო

ამ წელმა ისეთი გაზაფხული მოუტანა რუსეთს, რომლის მზგავსიც ისტორიამ ძალიან ცოტა იცის.

მართალია, ძველ მთავრობას ძველი რეჟიმი ისეთის სწრაფის ნაბიჯით მიჰყავდა დაღუპვისკენ, რომ მისი დღეები დათვლილი იყო **და** ამის გამოსაცნობათ დიდი წინასწარმეტყველება არ იყო საჭირო, მაგრამ თუ ეს ასე სწრაფათ მოხდებოდა, სწორეთ წარმოუდგენელი იყო.

დარწმუნებული ვიყავი, ძველი რეჟიმის დროზე დასამხობათ საჭირო იყო რომ რუსეთი დასჯახებოდა რაიმე ძლიერ გარეშე ძალას. ასეთ ძალათ იქცა გერმანიასთან ომი, რომელმაც გამოაქვეყნა, გამოამზეურა და ყველასათვის აშკარა გახადა ძველი წყობილების მთელი გახრწნილება

ასეთ არა ჩვეულებრივ დროს, როდესაც მამულის კეთილდღეობას მილიონობით ეწირებიან რუსეთის მოქალაქენი, ძველი მთავ-

რომა რუსეთსა ჰყიდდა, ჰყიდდა აშკარათ ურცხვად.

როდესაც საშინელმა ღალატმა სასახლეში იჩინა თავი, როდესაც დამტკიცდა, რომ დედოფალი, რომელიც ასეთ დროს უნდა ჰყოფილიყო ნამდვილი დედა მთელი რუსეთისა, ნამდვილათ მთელ რუსეთს ყელსა სჭრიდა, მოთმინების ფიალა აივსო და ჯარმა შეასრულა თავისი მოვალეობა მამულის წინაშე.

ქება და დიდება, უკვდავი სახელი რუსეთის უკვდავ მხედრობას!

პირველი საძირკველი რუსეთის დიდი რევოლუციისა მუშა ხალხმა ჩაჰყარა.

ცხრაას ხუთი წელი რევოლუციის ჩაქრობითა და მუშა ხალხის დამარცხებით დამთავრდა.

ამაში ბრალი მუშა ხალხსაც მიუძღვის. მართალია, სარევოლუციო ველზე პირველ როლს მუშა ხალხი თამაშობდა, მაგრამ იყვენ სხვებიც, რომლებიც მუშა ხალხს ხელს უწყობდენ, ასე თუ ისე ეხმარებოდენ.

როდესაც მუშა ხალხმა მტრის პირველი სანგრები აიღო, მან დაივიწყა მოკავშირენი, თანამგრძნობნი და წამოაყენა ისეთი მოთხოვნილებანი, რევოლუციის მიზანი ისე ფართოთ დაისახა, რომ სხვების მიზანი სრულებით დაჩრდილა და მოსპო.

მოკავშირენი და თანამგრძნობნი შეშინდენ, დაფრთხენ, მუშა ხალხს სწრაფათ ჩამოშორდენ. ბრძოლის ველზე მუშა ხალხი განმარტოებულათ დარჩა და ეულათ დარჩენილმა ბრძოლა წააგო.

რამ დაამარცხა ცხრაას ხუთ წლის რევოლუცია?

სარევოლიუციო ძალთა დაქსაქსვამ.

იგივე შეცდომა თუ დღესაც განმეორდა, კონტრრევოლუცია უსათუოთ წამოჰყოფს თავს და დროებით კიდეც გაიმარჯვებს.

ვინ დაამხო დღეს ძველი რეჟიმი?

ჯარმა, მუშა ხალხმა და ბურჟუაზიამ.

შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, ვითომც რუსეთში რევოლუცია დამთავრებულიყოს. ჯერ მხოლოდ ძველი მთავრობა დაემხო.

ძველ მთავრობას, ძველ რეჟიმს ყველგან ბევრი მომხრეები ჰყავს. ამ მომხრეების დამორჩილება და ალაგმვა, მთელი ძველი სისტემის ახლით შეცვლა დიდ დროს, დიდ შრომას, დიდ გამჭრიახობას ითხოვს და სანამ ძველი სრულებით არ დაიმხობა და მის ნანგრევებზე მტკიცეთ არ დამყარდება ახალი, სრულ და საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ამიტომ სამივე მებრძოლს—ჯარს, მუშა ხალხს და ბურჟუაზიას—დიდი სიფრთხილე მართებს. მათი საბოლოო, შორეული მიზანი სხვა და სხვა არის, მაგრამ თუ ეს დღეს გაიხსენეს, ეს გამოიწვევს მათს გათიშვას, სარევოლიუციო ძალთა დაქსაქსვას და ეს კი ხელს შეუწყობს კონტრ რევოლუციის წარმოშობას და გაძლიერებას. სამივე მებრძოლმა დიდხანს უნდა იაროს ერთათ. ამიტომ მათ ჯერჯერობით სრულებით უნდა დაივიწყონ, რა განსხვავებაა მათ შორის და ახსოვდეთ მხოლოდ ის, თუ რა აერთებს, რა ამოქმედებს დღეს სამივეს ერთად.

სამივეს ერთად ამოქმედებს ძველი რეჟიმის სრული დამხობა და მის ალაგას დემოკრატიული წყობილების დამყარება.

ეს დიადი მიზანი აკავშირებს სამივეს.

მართალია მუშა ხალხისთვის არ არის საბოლოო მიზანი, მუშა ხალხის საბოლოო მიზანია სოციალიზმი.

სოციალიზმი კი ბურჟუაზიის სამარეა და ამიტომ არაფერი მას ისე არ აშინებს, როგორც ამ სამრის დანახვა.

აქედან ცხადია შემდეგი:

თუ მუშა ხალხმა წამოაყენა ისეთი მოთხოვნილებანი, რასაც სოციალიზმის ნიშნები ექნება, ბურჟუაზია მუშა ხალხს უსათუოდ ჩამოშორდება.

ეს კი საერთო დემოკრატიულ წყობილების დამყარებას დაღუპავს.

განსაკუთრებულათ მუშა ხალხმა არ უნდა წამოაყენოს არც ერთი მოთხოვნილება. ყოველი მოთხოვნილების წამოყენებას, ყოველი ნაბიჯის გადადგმას წინ უნდა უძღოდეს სამივე მებრძოლის თანხმობა და სრული ერთსულოვნობა.

ერთად მოქმედება, თანხმობა უსათუოდ ითხოვს არა ჯიუტობას და დაჟინებას, არამედ დათმობას. თუ მუშა ხალხმა დაჟინებით წამოაყენა თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი:

ჯარმა თავისი, ბურჟუაზიამ თავისი, თანხმობა დაირღვევა და მტერი უსათუოდ წამოჰყოფს თავს.

ყველაზე მეტი სიფრთხილე, წინდახედულება და გამჭრიახობა ამ მხრივ მუშა ხალხს ჰმართებს, რადგანაც ის უფროსია, უფრო ხნიერი და გამოცდილი მებრძოლია.

თვისი საბოლოო მიზანი მან დღეს დროებით უსათუოდ უნდა დაივიწყოს და მთელი თვისი ძალღონე მოახმაროს ჯართან და ბურჟუაზიასთან ერთად და თანხმობით მოქმედებით დემოკრატიული წყობილების დამყარებას.

დრო მეტად სერიოზულია, მეტად დიდი სიფრთხილე, სიფრთხილე, სიბრძნე, წინდახედულობა თავდავ წყება საჭირო.

გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს მუშა ხალხს, გაუმარჯოს მებრძოლ ბურჟუაზიას.

[illegible]

განთიადის სევდა

მაშინ, როდესაც უკანასკნელ გამარჯვებას დღესასწაულობდა ძლევამოსილი განთიადი...

მაშინ, როდისაც მახარობელი შუქურაც კი სიხარულის ალში ინთქმებოდა და მშვენიერი აღმოსავლეთი ოქროსფრათ იქარგებოდა...

მაშინ, როდესაც ჯადოსანი ბულბული მშვენიერების სამარადისო ჰანგებს აწყობდა და ფრინველთა მეფეც გმირული სიმღერით ესალმებოდა თვალუწვდენ მთებს და მაღლა ცაში მიიჩქაროდა, რომ იქ, მხოლოთ იქ ეთქვა თავისი მშვენიერი სიმღერა...

მაშინ, როდესაც სიხარულის ბურანში გახვეულს სიყვარულისა და ალმაფრენის ფრთები მესხმებოდა, საიდგანღაც გაჩნდი შენ ჩემთან და მწუხრის სიმღერა მიმღერე...

მსწრაფლ წამერთო ალმაფრენა და ჩემს სულს ეწვია წმინდა სევდა...

წმინდა სევდა განთიადისა...

და ყოველთვის, როცა ჩემს სულსა და გულში კვლავ ცოცხლდება დიდებული სანახაობა...

როცა ფრთაშესხმული ოცნება სიყვარულისა და თავისუფლების ქვეყანაში მიმაფრენს, შენ ისევ ჩემთანა იბადები და მწუხრის სიმღერას მიმღერი...

და მევლინება წმინდა სევდა...

წმინდა სევდა განთიადისა...

ეხ, რა ვიცოდი, თუ განთიადისას მწუხრის სიმღერას მიმღერებდი...

რა ვიცოდი, თუ განთიადთან ერთად მწუხრიც შემომეპარებოდა...

რა ვიცოდი...

რა ვიცოდი?..

ლ. ძიძიგური

ქართული ეკლესია და სამღვდელოება

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 9)

1801 წლებშივე საქართველოს მმართველებს ნაბძანები ჰქონდათ სამღვდელოებისა და ეკლესიის მოწესრიგებისათვისაც ყურადღება მიექციათ, მათ კეთილდღეობაზე ეზრუნათ, მაგრამ საქართველოს არც ერთს კამგებელს თითიც არ გაუნძრევია ამ დავალებისასრულებისათვის მხოლოდ ვარლამ ექსარხოსისა და ტორმასოვის დროს იწყეს ზრუნვა, მაგრამ ეს ზრუნვა აღმოსავლეთ საქართველოში გამოიხატა ეპარქიების და მონასტრების შემოკლებაში. ქათალიკოსობის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ცამეტი ეპარქია იყო: მცხეთისა, ტფილისისა, სამთავრისა, რუისისა, წილკანისა, სამთავისისა, ურბნისისა და ნიქოზისა—ეს ქართლში; კახეთში: ალავერდისა, ნინოწმიდისა, რუსთავისა, ნეკრესისა და ბოდბისა. ცხრა საარქიმანდრიტო (ანუ მონასტერი) იყო: ქვაბთახევისა, შიო-მღვიმისა, იკორთისა—ლარგვისისა და თირისა; კახეთში: კახეთისა, დავითგარეჯისა, ნათლისმცემლისა, შუამთისა და ბოდბისა. აი, ეს ეპარქიები და მონასტრები შეამოკლეს და გახსნეს სულ ორი ეპარქია: მცხეთა—ქართლისა და ალავერდი—კახეთისა, ცხრა მონასტერი ჩამოიყვანეს ხუთზე. ტორმასოვმა ჩვენი სამღვდელოება და ეკლესია დაავოლა, ისეთს მოხსენებებს გზავნიდა უმაღლეს მთავრობასთან, ვითომ ქართველ სამღვდელოებას არაფერი არ უკეთებია, გარშემო კერპთთაყვანისმცემლები ცხოვრობენ, მათ მოსაქცევად საქართველოს სამ-

დვდელობას არაფერი არ გაუკეთებიათ, ვითომ ქართველი სამღვდელოება გაუნათლებელი იყო და არ ძალ ედვა ქადაგება და მოქცევა მთის ხალხებისა, რომელიც კერპებს სცემდა თაყვანსა, მაგ. ოსები. ტორმასოვის ასეთი აზრი ქართველ სამღვდელოებაზე ერთობ გადაჭარბებული იყო იგი ჩვენი სამღვდელოების მისიონერულ მოღვაწეობას სრულიადაც არ იცნობდა, ამიტომ იმას ეგონა, რომ ქართველ სამღვდელოებას უნარი არ შესწევს მთის ხალხების მოქცევისა ქრისტეანობაზე . ასეთი აზრი ტორმასოვის სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიას, რომელიც ქებით იხსენიებს ქართველ მისიონერებს, განსაკუთრებით გაიოზ ეპისკოპოზს, გვარად ბარათაშვილს, რომელიც იყო ასტარხნის და მოზდოკის ეპისკოპოსად, რომელმაც ოსური და სხვა მთიულთა ენები იცოდა, ქადაგებდა და შეჰქონდა მათში ნათელი ქრისტეს სწავლისა. ეპისკოპოს კირიონს, თვის თხზულებაში, რომელიც ჩვენ ზემოთაც დავასახელეთ, ჩამოთვლილი აქვს ის დიდებულნი სასულიერო პირნი, რომელნიც იღვწოდნენ სამისიონერო ასპარეზზე და რომელნიც იყვნენ ტორმასოვის თანამედროვენი, მაგალითად, მწყემსმთავრები: გაიოზ ბარათაშვილი (ზემოდ ნახსენები), თვით ვარლამ ერისთავი, გამოჩენილი მქადაგებელი ამროზ ნეკრესელი, დოსითეოზ ფიცხელაური, ნიკიფორე ჯორჯაძე, იოანე ბოდბელი, არქიმანდრიტები: გამალეილი, ელევთერი და ითანასე; დეკანოზები: დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი, იოანე ოსეშვილი, იოანე ქართველიშვილი, პეტრიაშვილი, ეგნატე იოსელიანი, დავით ჩუბინაშვილი და სხვ. ისტორია ცხადად მოწმობს, რას აკეთებდნენ უხსოვარის დროიდან ჩვენი მქადაგებელ-მისიონერები. ამათ შეჰქონდათ ნათელი ქრისტეს სწავლისა, სარწმუნოებისა, ზნეობით სწავლა, ქადაგება კავკასიის მთიელთა შორის: აბხაზეთში, ოსეთში, ქისტეთში, ლეკეთში, უდიანებში და სხვ. რუსეთთან შეერთებამდე და შემდეგაც ჩვენს სამღვდელოებას იარაღი ხელიდან არ გაუგდია, ბეჯითად და მხნედ განაგრძობდა მისიონერულ ასპარეზზე მოქმედებასა. გენერალ ტორმასოვს სახეში ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სამღვდელოების გათახსირება, მისი დაკნინება უმაღლესი მთავრობის წინაშე, თორემ რითი აიხსნება მისი თხოვნა მთავრობისადმი, გამოგზანეთ კათოლიკე მისიონერები-იეზუიტები ოსების მოსაქცევადო. იცოდა კი რომ ქართველი მქადაგებელნი იღვწოდნენ, მაგრამ მაინც სიძულვილმა, გათახსირების სურვილმა არ მოასვენა იგი. არა თუ ტორმოსოვის დროს, წინათაც, როგორც ვსთქვით, ქართველი მისიონერები იღვწოდნენ მთიულთა განათლებისათვის, არა თუ მარტო სამღვდელონი იღვწოდნენ, არამედ ერის კაცნიც, მაგ. რუსების შემოსევამდე და შემდეგაც ოსეთში იღვწოდა აზნაური ივანე იალგუზიძე. შემდეგშიც ბევრმა ისახელა თავი მთიელთა მოქცევითა, ისტორია არ დაივიწყებს შემდეგ პირთაც: დეკანოზებს—ნიკოლოზ სამარღანაშვილს, იოსებ ელიოზიძეს, პეტრე ავალიანს, ბესარიონ ილურიძეს, ვასილ ცერაძეს, ათანასე მაჭავარიანს, გიორგი ამირიძეს, ზაქარია მამაცაშვილს, იაკობ ლომაურს, ალექსანდრე თევდორაშვილს, მღვდლებს—გაბრიელ საძაგლიშვილს (პაპა ეპ. კირიონისა), იაკობ ზამთარაულს და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, სამოქალაქო, თუ სასულიერო მთავრობანი აღიჭურვნენ იმ აზრით, რომ საქართველოს სამღვდელოება და ეკლესია დაექვეითებინათ ყოველნაირად. ამ აზრს კიდეც მიახწიეს და, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ჩვენს ქვეყანას მოეფინა სწავლა-აღზრდის სისტემის გამო გამოჩურჩუტებული სამღვდელოება. მისიონერული მოღვაწეობა, რომლებსაც ჩვენებს უწუნებდნენ, ხომ სრულიად დაეცა.

სიმღერა

ვინაც გაზრდილა ლაღად,
კმაყოფილია ბედისა,
არ ახსოვს თავის აკვანი,
არც ტკბილი ძუძუ დედისა,—
მძიმე ბარგია მშობლისთვის,
შამრცხვენი წმინდა მთებისა...
თავის სამშობლოს ორგული
დედას ნუმც გაეზრდებისა,
ვაჟნიმც ნუ დასმენ ჯარზედა,
მიწამც ნუ ელირსებისა,
ყორნისამც ლუკმა გახდება,
გულსამც ამოგლეჯს მკერდითა!

მწყემსი **ვასო აფციაური**

აღმასრულებელი კომიტეტი

სია და ვინაობა სახელმწიფო სათათბიროს იმ წევრებისა, რომელთაც ამა წლის თებერვლის 27 სახელმწიფოს ძალა-უფლება ხელთ იგდეს:

1) **როძიანკო**, მიხეილ ვლადიმერის ძე, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე, ეკატერინოსლავის გუბ. დეპუტატი, ოქტომბრელი, უმაღლესი კარის კამერჰერი, დაიბადა 1859 წ.

2) **კერენსკი**, ალექსი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი, სარატოვის გუბ. დეპუტატი, შრომის ჯგუფის მესვეური (ლიდერი), დაიბადა 1881 წ. შვენიერი ორატორია და მშრომელ ხალხში დიდი სახელი აქვს მოპოვებული. ლენის ამბების დროს მოიარა ლენის ოქროს მადნები და საქმე გამოიძია. ახალ მთავრობაში სასჯულმეტყველო (იუსტიციის) მინისტრად მიიწვიეს.

3) **ჩხეიძე**, ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე, თბილისის გუბერ. დეპუტატი (მესამე სათათბიროშიაც იყო), თბილისის ხმოსნად ნამყოფი, სოციალდემოკრატი (მეუმცირესე), მარქსის მოძღვრების საუკეთესო მცოდნე, დიდათ განვითარებული, პუბლიცისტი და მუშებში დიდ სახელმოპოვებული, სახელ. სათათბიროს სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის მესვეური (ლიდერი). გაბედული და შეუდრეკელი ორატორია. დაიბადა 1863 წ. სოფ. ფუთს, კლდეეთის საზ. პორაპნის მაზრაში.

4) **შულგინი**, ვასილ ვიტალის ძე, ვოლინის გუბ. დეპუტატი (2, 3-ე იყო), გაზ. „კიევლიანინი"-ს ხელმძღვანელი, ნაციონალისტი. ბეილისის საქმისა და ომის გავლენით ძალზე გამემარცხენდა. დაიბ. 1878 წ.

5) **მილიუკოვი**, პავლე ნიკოლოზის ძე, პეტროგრადის დეპუტატი (მე-3-ეშიც იყო), კადეტთა პარტიის მესვეური (ლიდერი), გაზ. „რეჩის" რედაქტორი, ნიჭიერი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და კარგი ორატორი. დაიბ. 1859 წ.

6) **გარაულოვი**, მიხეილ ალექსის ძე, თერგის ოლქის დეპუტატი (მე 2-ე სათათბიროშიც იყო), აფიცერი, დაიბ. 1872 წ. ისტორიკოსი თერგის ყაზახთა ლაშქრისა, თერგის ოლქის საერობო კანონპროექტის თაოსანი.

7) **კონოვალოვი**, ალექსანდრე ივანეს ძე, კოსტრომის გუბერნიის დეპუტატი, სამანუფაქტურო ქარხნის პატრონი, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფი, სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე, დაიბ. 1875 წ. სავაჭრო-სამრეწველო მინისტრად მიწვეული.

8) **დმიტრიუკოვი**, ივანე ივანეს ძე, კალუგის გუბ. დეპუტატი, ოქტომბრელი, სახელმწიფო სათათბიროს მდივანი, დაიბ. 1872 წ.

9) **რჟევსკი**, ვლადიმერ ალექსის ძე, მოსკოვის გუბ. დეპუტატი, ცნობილი საერობო მოღვაწე, პროგრესისტი, სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი, გასულ წელს ჩვენში იყო საერობო მასალების შესაკრებად, დაიბ. 1856 წ.

10) **შიდლოვსკი**, სერგი ილიოდორის ძე, ვორონეჟის გუბ. დეპუტატი, ოქტომბრელი, პროგრესიულ ბლოკის თავმჯდომარე, მესამე სათათბიროში თავმჯდომარის ამხანაგი იყო, დაიბ. 1861 წ.

11) **ნეკრასოვი**, ნიკოლოზ ბესარიონის ძე, ტომსკის გუბ. დეპუტატი, (მე-3-ეშიაც იყო), ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტატისტიკის პროფესორი, მემარცხენე კადეტი, აწინდელი სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგი. დაიბ. 1879 წ.

12) **ლვოვი**. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, სამარის გუბ დეპუტატი (მე-3-ეშიაც იყო) ცენტრის ჯგუფელია, საეკლესიო საქმის მცოდნე, დაიბ. 1872 წ. ახალ სამინისტროში მიწვეულია სინოდის ობერ-პროკურორად.

დამარცხდა

დამარცხდა დემონი—ველარ ხარხარებს,
დამარცხდა, დამცირდა შიშით ცახცახებს!

—

ვინც გუშინ გვტანჯავდა—დღეს იგი კვდება
ტანჯულ-წამებული აწ მკვდრეთით სდგება.

—

დაიმსხვრა ბორკილი უსამართლობის
ხმა ისმის მედგარი ძმობა-ერთობის!

—

ზეიმობს ქვეყანა, მთვარეც და მზეცა,
და იმათ ზეიმში მსურს ვიყვე მეცა!..

ზ. ზემო-ხანდაკელი

ქართველები სახელმწიფო სათათბიროში



პირველი სათათბირო. 1) ი. ა. ბარათაშვილი, 2) ნოე ჟორდანია, 3) მ. ს. ჯაფარიძე, 4) ი. რამიშვილი, 5) ივ. გომართელი და 6) ს. წერეთელი.

ევგენი გეგეჭკორი. (მე-3 სათათ.)

ვ. გელოვანი. (მე-4 სათ.)

მეოთხე სათათბირო. შუაში—კაკი წერეთელი, მარჯვნივ—სევ. ჯუღელი, მარცხნივ—არ. ლევ. ჯაფარიძე, ზევით—გ. თ. მახარაძე, ჭოლა ლომთათიძე, ქვევით—კ. კანდელაკი და ნ. ა. კაციაშვილი,

ნ. ჩხეიძე (მე-3 და 4 სათათ.) აკაკი ჩხენკელი (მე-4 სათ.)

წითელი დროშა

ხალხთ უფლების მზევ! შვენებაო, სულის შუქურავ!
უკვე იცინი სიცოცხლისა მკვერაო ქურავ?!
დასწვი, თუ-კი რამ დარჩა კიდევ მოძველო ჟანგი
და გულს ასმინე სულ ახალი ნეტარი ჰანგი.
თავისუფლების ქარი, აჰა, ვხედავ გრიალებს,
წითელი დროშა, საყვარელი უკვე ფრიალებს!..

ს. ერთაწმინდელი

ახალი მთავრობა



თავ. გ. ლ. ლვოვი (1)—პირველი მინისტრი, ეროვნათა კავშირის თავმჯდომარე; ა. თ. კერენსკი—(10) მინისტრი იუსტიციისა პ. მილიუკოვი (4)—გარეშე საქმეთა, ა. ნეკრასოვი (5)—გზათა, ა. კონოვალოვი (3)—ვაჭრობა-მრეწველობისა, პროფ. მანუილოვი (11)—განათლებისა. ა. გუჩკოვი (2)—სამხედრო, შინგარევი (9)—მიწათ-მოქმედებისა, ტერეშჩენკო ( )—ფინანსთა, ი. გოდნევი (11)—სახემწიფო კონტროლიორი, ვ. ლ. ლვოვი(7)—სინოდის ობერ-პროკურორი, როდიჩევი (6)—ფინლანდიისა.

დაემხო ძველი— გაუმარჯოს ახალს!

იყავი ბრძენი
ვითარცა გველი!

მოქალაქენო ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა მონობის მძიმე უღელქვეშ სულშეხუთულო, დღემდე გლეხად ანუ თავად-აზნაურად წოდებულო, მუშავ და ჯარისკაცო!

დღემდე ყურმოჭრილ ყმად მიჩნეულო ქვეშევრდომთ, აწ თავისუფალო მოქალაქენ!

თებერვლის 27-ს, სწორედ შუალამისას' გაიყარა ძველი და ახალი რუსეთი.

ძველმა განისვენა, ახალმა მზეებრ იწყო კაშკაში!

და განანათლა ყოველი კუთხე-კუნჭული რუსეთის წამებულ ქვეშევრდომთა გულისა!

ბაგეთა ჩვენთაც აღეხსნა მძიმე ბოქლომი.

რუსეთის თვითმპყრობელი ბატონი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა შვილითურთ, მისმა ძმამ მიხეილმაც არ ისურვა მეფობა, ვიდრე ერის დამფუძნებელი კრება—**ხალხის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ** და ფარული კენჭის ყრით არჩეული წარმომადგენელნი არ მისურვებენ მეფედო. ამ მიზეზით სამეფო ტახტი არ მიიღო და რუსეთის სახემწიფოს ბედ-იღბლის გამგებლობა იკისრეს ქვეყნის რჩეულ შვილთ,—სახემწიფო სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა, მუშათა დეპუტატების' საბჭოსა და მათის თანხმობით შემდგარმა პასუხისმგებელმა სამინისტრომ!

ყოველივე ეს მოხდა 24 საათის განმავლობაში.

დღეს რუსეთი თავი' უფალია!

რუსეთის აწინდელმა მძიმე განსაცდელმა ქვეყნის სამართავად დააკავშირა სულ სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენელნი: ოქტომბრელები, კადეტები, სოციალ-დემოკრატები, შრომის ჯგუფელები, ნაციონალისტები, პროგრესისტები და სხ. ხელი ხელს მისცეს, პირიპირსა, ამათ გვერდში ამოუდგა მუშა ხალხი ჯარითურთ, ეტაკნენ ძველ წყობილებას და დაამხეს კიდეც...

ასე მოიქცნენ მას შემდეგ, ოდეს დარწმუნდენ, რომ ცალკცალკე უღონონი იყვენ!..

გაუმარჯოს მათ მიზანს!

თავისუფალი და მტკიცე კონსტიტუციონალური რუსეთი ჩვენთვისაც უკეთესია, ვიდრე წინანდელი თვითმპყრობელობა!

მაგრამ მაძღარი მშიერის მდგომარეობას განა ოდესმე განიცდის!

მართალია, ახალი მთავრობის გეგმაშია ერთი გათანასწორებაც,—მაგრამ ქართველ ხალხისთვის ეს არა კმარა!

საქართველოს ძეთ წარსულსა და აწმყოში უდიდესი სამსახური გაუწიეს რუსეთს!

ქართველმა დემოკრატიამ ხომ საარაკო მხნეობა გამოიჩინა რუსეთის დემოკრატიის გაძლიერებაში!

ვინ იყვნენ რუსეთის დემოკრატიის ბელადები სათათბიროში, თუ არა ქართველები?!

მოიგონეთ კაკი წერეთელი, ის. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, აწინდელი—კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხეკელი და სხ.

მოიგონეთ უმანკო მსხვერპლნი: ჭოტი (ჯაფარიძე), ჭოლა ლომთათიძე, სევ. ჯუღელი, ლადო კეცხოველი მრ. სხ.

ვინ, ვინ აღავსო ციმბირის შორეული ქვეყნები საკუთარი ძვლებით თუ არა ქართველთა ძეთა გატაცებულმა, თავგადადებულმა ბრძოლამ?!.

როგორც შინაურ სამოქალაქო ომში, აგრედვე გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველებმა დიაღაც რომ უზომო მსხვერპლი გაიღეს.

და ამისთანა თავგანწირულების ამაგს თუ შესაფერად არ დაგვიფასებენ, მაშინ თვით ქართველმა დემოკრატიამ—ხალხმა უნდა დაიფასოს.

ყოველთვის სხვისთვის ხომ არ უნდა ვაცხოთ კვერები!

როგორც დღემდე, დღეის შემდეგაც რუსეთის დემოკრატიას მხარდამხარ უნდა გავყვეთ ყველაფერში, მაგრამ ამავე დროს არ დავივიწყოთ ჩვენი ქვეყანა და მისი საჭიროებანი...

ეჭვს გარეშეა, რომ ადრე თუ გვიან საქართველოსაც ეღირსება თვითმართველობა, მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ საფუძვლებზე დამყარებული... და რაც უფრო ადრე გამოვიჩენთ საკუთარი თავის ცნობის აღლოს, რაც უფრო ადრე შემოკრბებით დემოკრატიულ მისწრაფებათა ირგვლივ და ახალ მთავრობას ზურგს გავუმაგრებთ, მით უფრო ჩქარა მივახწევთ ჩვენს მიზანს.

განხეთქილება, დემოკრატიულ წრეთა შორის პარტიული კინკლაობა, სხვადასხვა ლოზუნგები, სხვადასხვა კერპები აწ აღარ გამოგვადგება!..

ისე უნდა მოვახერხოთ, ისეთი პირობები შევქმნათ, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველს ხელიდან არ გამოეცალოს. საკუთარში არ ეცილებოდენ, არც იგი ეცილებოდეს სხვას და თავის თავის გამგებლობის უფლებანიც მიენიჭოს.

სოციალ-დემოკრატი, სოციალ-ფედერალისტი, სოციალისტ-რევოლიუციონერი და სხვანი დღეს უნდა შემოკრბენ ისევე, როგორც სახემწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი ახალი მთავრობითურთ და მხოლოდ მაშინ ვეღირსებით ჩვენის გულის ნადების აღსრულებას.

ყველა ამ პარტიათაგანი დღემდე სვა და სხვა გზით სახელოვნად ცდილობდენ ხალხის განვინცნობიერების: ერთმანეთს ხშირად ექიშიპებოდენ კიდეც, დღეს ეს არ გამოგვადგება.

წუთი უმაღლესი განცდისა შეკავშირებას გვავალებს.

მოიგონეთ ტარიელ, ფირიდონ და ავთანდილ: სხვა და სხვა გზით მიადგნენ ქაჯეთის ციხეს, სადაც ნესტან დარეჯანი მოიკვლიეს. ითათბირეს, ერთი გეგმა შეიმუშავეს და მერე, თუმცა სხვა და სხვა მხრით, ერთად ეჯახნენ და გაანთავისუფლეს თვისი მზე-ძეგნის საგანი.

ისე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

დაე, ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ მომხდარი ამბე ი და ჩვენი საჭიროებანი თავის გულში ასწონ-დასწონოს და ისე იმოქმედოს...

მშობელი კი არ დაამწუხაროს.

მოქალაქენო! მოიგონეთ ცხრაას ხუთი და მისი მძაფრი შედეგები, ერთმანერთის დაუნდობლობა, რეაქციის გიმარჯვება და მისით დაწყებული ეგრედწოდებული მოძრაობის დეკადენტია, რომელმაც არა ერთი და ორი ათასი შვილი ჩვენის ქვეყნისა გააციმბირა ანუ სარჩობელაზე აიყვანა...

მოიგონეთ ესა და ყოველი ნაბიჯი გონივრულად და საზრიანად გადავდგათ.

ზურგი გაუმაგრეთ ახალ მთავრობას და მისგან დაწყებულ წყობილებას!

წესიერება, სამართლიანობა, თვისი საჭიროებათა შეგნება, სხვისი პატივისცემა და თვის უფლებათა დაცვა,—აი რით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მეტი თვითმოქმედება, გარჯა და ნაკლები ფახიფუხი, ნაკლები სიტყვა!

სოფლის მშრომელო დევ-გმირო, დღემდე უენო-უუფლებო ქვეშევრდომად მიჩნეულო, კმარა, რაც სხვის საწველ-ფურად იყავი, სხვის ხელშემაყურებელ, უპატრონე შენს თავს: ოხან-მოთესე, ველ-მინდორს მაგრა მოეჭიდე, რომ გაძღე, მტერსა და მოყვარეს დახვდე...

სოფლის მოწინავევ, სულის ძალღონე გაიორკეცე და მხნედ, მხნედ შეებრძოლე ხალხის სიბნელეს, სიბეჩავეს...

ქართველო მორწმუნევ, უპატრონე თავსა შენსა!..

განქრა ბნელი, სალამი ნათელს!
დაემხო ძველი—ვაუმარჯოს ახალს!
თავისუფალი მოქალაქე

იოსებ იმედაშვილი



ცხადი სიზმარი

ვნახე სიზმარი უცნაური და საზარელი:
უცებ დამეხვა გარშემო ბნელი!
„ვინა ხარ, ვინა?—იდუმალი ხმა ჩამძახოდა;
თავს ველარ ვცნობდი, ვინ ვიყავი, ადარ მახსოვდა.
ვიგრძენ წუხილი' ვიგრძენ ტანჯვა, ვიგრძენ ობლობა,
მთელ არსებობას მიწყლულებდა უსამშობლობა.
„უცხო ტომი ვარ ყველასაგან ეს და მესმოდა,
როგორც ლახვარი ეს ხმა გულში ისე მხვდებოდა.
ვეძებდი მიწას, მოვიარე ზღვა და ხმელეთი,
ოქროს ქვეყნებიც ჩემთვის იყო შავი, ბნელეთი.
ერთ ალაგიდან ახლა კიდევ სხვაგან გავწიე,
ვერსად მოვთავსდი, ჩემი წადილი ვერსაღ დავტიე.
სადაც ართული დედა-ენა მე არ მესმოდა,
სევდით მოცული გული ყველგან შემომკვნესოდა.
საიდან? როგორ? ნუ თუ მართლა მიწამ არ მშობა?!
მაშ როგორ გავჩნდი? ან ვინა ვარ? ან რა მეხმობა?!
გამოვეერკვე, გამოვფხიზლდი მთლად, ნაწვალები,
მომესმა ტკბილი ხმა ნაცნობი თეძმის შხუილი:
გმადლობ, უფალო, რომ სიზმარი იყო ტყუილი.
ჩემო სამშობლოვ, ველარსად დამემალები,
სადაც ვიშობე მე იმ მიწას ვენაცვალები.
შუა ქართლია ჩემი დედა აქ ვარ შობილი,
სხვა ყველა გარე სტუმარია შემოსწრობილი.
ვინც დაიფასებს პურ-მარილსა—ვაშა, დიდება,
ჩემი სამშობლო მოყვას-მოძმეს არ ერიდება.
ტკბილი ქართული ჩემი ღვიძლი დედა-ენაა,
მისი შელახვა, საკუთარი ჩემი წყენაა.
აქ დამკრა მზემა და ნიავმა მე აქ დამბერა.
ამავე მიწამ შემაზავა, სული შთამბერა.
ესეა ჩემი წმინდა რწმენა შეურყეველი.
ამას ვწერ გიგო **ხეჩუაშვილი-თეძმისხეველი**.



ოცნება და სინამდვილე

მეფე ვარ მეფე, როცა ვოცნებობ
და ვმღერი, ვმღერი აღტაცებული:
ცაში დავფრინავ, ცაში ვნავარდობ,
ვარსკვლავ-მთვარესთან შეყვარებული.

—

მაგრამ, როდესაც დუხჭირ ცხოვრების
მე სინამდვილე წარმომიდგება,
მაშინ მემსხვრევა ფრთები ოცნების
და ყოველივე უეცრად ჰქრება!..

ქ. ძიძაძე

ჩვენ და თეატრი

ფრ. ნიცშე თავის ერთ თვალსაჩინო ნაშრომის („ტრაღედიის დაბადება“) წინასიტყვაობაში ამბობს: „ხელოვნება უფრო ძვირფასია, ვიდრე სინამდვილეო“.

ეს დებულება ერთის შეხედვით თითქოს საჭოჭმანო სინამდვილედ ისახება. როგორ! სინამდვილე, რომელიც ჩვენი ცხოვრების საფუძველია, რომლის ყოველი ასო კაცობრიობის წევრთა არსებობასა და მოქმედებას შეიცავს, განა უფრო ნაკლებ ფასიანია, ვიდრე ის, რაც ამ სინამდვილეს ასახიერებს?!. აი, ეს კითხვა უსათუოდ წამოიჭრება, ვინც დებულებას გონებით არ განსჭვრეტს და განმარტებას მშრალ სიტყვებში გამოსახავს. მაგრამ ასეთი განმარტება უსუთუოდ დარჩება, რადგან უსულო იქმნება თვით ის, ვინც „გონებით არ განსჭვრეტს“.

სინამდვილე მართლაც ძვირფასი რამ არის, მას, როგორც ნათელს, ჭეშმარიტს, განმარტება არა სჭირდება; იგი იყო და რჩება იმად, რაც იყო; მის შემადგენლობაში რაიმე ცვლილება არა ჰხდება; რაიმე მომხდარი ურყევლი იქმნება წელთა სრბოლაში, რა გინდ სუსტი და უსუსური იყვეს მისი ნაკვთები. მაგრამ, აი, შეიცვალა, ვსთქვათ, დღევანდელი სინამდვილის პირობები; ვსთქვათ დღეს სხვა ღმერთს ვეთაყვანებით... ამით შეიცვლება თვით სინამდვილე?.. არა!.. სინამდვილე რჩება, მხოლოდ დღეს ის პირობები აღარ არის, რომელიც მას ეხვია.

გუშინ თუ ადამიანი სცოცხლობდა და დღეს მოკვდა,—ამით შეიცვალა მისი არსებობის პირობა, საფუძველი, მაგრამ ის, რომ იგი სცოცხლობდა, სინამდვილეა და სინამდვილედ დარჩება.

გუშინ თუ დაცემულ-დაკნინებული იყო ქართველი ერი და დღეს ბრწყინვალების მოედანზე გამოდის, შეიძლება მისი ბრწყინვალება სხვასაც მოეფინოს,—ამით არ შეიცვლება ის სინამდვილე, რომელიც მის დაცემა-დაკნინებაში ისახებოდა. დიახ, ათასი წლის შემდეგაც სინამდვილე იქნება ის, რომ ქართველი ერი გუშინ დაცემულ-დაკნინებული იყო. მაშ, თუ ასეთია შემადგენლობა სინამდვილისა, აშკარაა, თუ რა ღირსება და ფასი ექმნება მის ნაწილებს... თუ ურყევლია, შეუცვლელი მისი დედა აზრი, ეს კიდევ არა ნიშნავს იმას, რომ მას სხვა სინამდვილის დედა აზრი არ ეწინააღმდეგებოდეს და სწორედ იმაშია მისი ღირსებაც, რომ ყოველგვარი სინამდვილე თავისი ფარგლებით ისაზღვრება, თავისი ნაწილებით საზრდოობს.

და ამ სინამდვილეს განსახიერება უნდა... მის ყოველ ნაკვთს დაკვირვებული თვალი, გონება, ხელი და ყოველივე გრძნობის გამომხატველი იარაღი სჭირდება, რომ ღირსეულად იყვეს იგი დაცული. ასეთი იარაღით განსახიერებული სინამდვილის მოედანი კი ხელოვნებაა. ხელოვნების ყოველ დარგში, თუ იგი ღირსეულად შექმნილია, სინამძვილე ისახება. ხელოვნება სახეა იმ უკვდავებისა, რომელიც სინამდვილის სამოსლით გვევლინება. თუ სინამდვილე მშრალია, ე. ი. თუ მისი შემადგენლობა რაიმე მაღალ მხატვრულს, წყურვილის მომკვლელს არ წარმოადგენს,—სამაგიეროდ, ხელოვნება თვით ამ სიმშრალის გამანოყიერებელია; ხელოვნება თვით ამ მშრალ ფაქტს იარაღად იყენებს და ჰქმნის უზენაესს, ჰქმნის უკვდავებას, რომლის დაწაფება უფრო მეტსა და მეტ მშვენიერებას გაძებნინებთ, უფრო მეტს აღფრთოვანებას განატრებთ რუსეთის გამოჩენილი მხატვარი რეპინი ამბობს: „ხელოვნება თვით უმაღლესი წეს-წყობილების ადამიანისათვის საჭიროა ისევე, როგორც ჰაერი და სინათლე; ხელოვნება მომხდარ ამბებს, პიროვნებებს და მნიშვნელობითა და სილამაზით არაჩვეულებრივ მომენტებს ანმტკიცებს; სულის სამეფოს წარმოდგენებსა და იდეალებს ანამდვილებს და ამაგრებს;—და, დაბოლოს, ცხოვრების სურათებს დამატყვევებელ სახებად ამკვიდრებს... ხელოვნება უმაღლესი საჩუქარია—შემოქმედისაგან ხალხისადმი მოძღვნილი“-ო და სხვა...

ამ ორი მოსაზრებისაგან გამოიტანება ერთი დასკვნა: ძვირფასია სინამდვილე, მაგრამ უფრო ძვირფასია ხელოვნება. ეს დასკვნა კი სწორ თორმეს ფრ ნიტშეს პეფორიზმში იდებს.

ეოგედიგე ეს არის გამოხატულება მთლიანი ხელოვნებისა, როგორც მცნებისა. ამ მცნების, მთლიანი ხელოვნების ერთ ნაწილს, და, გვგონია, უმთავრეს ნაწილს კი, თეატრი შეადგენს. აქ რომ ამ ნაწილის მნიშვნელობა აღვწერო, დარწმუნებული ვართ ახალს, უკეთესს ვერაფერს ვიტყვით, რადგან თვით უბრალო ფრაზასაც კი — „თეატრი ცხოვრების სარკეა“ — დიადი სიღრმეით გვირდგენს თეატრის იმ მნიშვნელობას, რომლის ხსნა განმარტებას სოფოკლეს, შექსპირის, შილერის, გიოტეს, მოლიერის და მრავალთა სხვათა შემონაქმედნი მთელის სიგრძე-სიგანითაც გვიხატვენ.

და ეს მნიშვნელობა მეტ ღირსებას უფრო ჩვენს ქვეყანაში უნდა ჭეშმარიტს აქ ადგ. იქ, სადაც უუმშვენიერესს ტრაგედიულსა და კომედიურ ფაქტებს თვით ცხოვრება იძლევა და ნაკლები ფანტაზია სჭირდება იქ, სადაც ამ ფაქტების განმსახიერებლად გამოსვლა მოქნილ-მახვენილ, ტან-წარწეტა, მკვირცხლ, მკრძნობიერ, მწუხარებისა და მხიარულების ზომიერად შემკრძნობ ხალხს შეუძლიან, სადაც უულამაზეს დეკორატიულ მხარეს თვით ჩვენი ქვეყნის უუმწვერვალესობამდე აღწეული ძუნებრივ-მხატვრული მიქრგულობა შეიცავს, — განა არ უნდა იყვეს სრული წამქეზებლობა იმისა, რომ ჩვენმა თეატრმა მალე ნახოს ის სასეიმო წერტილი, რომლის ირგვლივ თავს ბევრი იყრის, მაგრამ სრულად მიდწევა კი ჯერ თითქმის ვერავის შესძლებია. დიდ, ამის ნახვა ჩვენს თეატრს შეუძლია, მაგრამ განგებამ და თვით ხალხმაც ამ ბოლო ხანებში მხოლოდ მის რისხვად მოიცალა და შეანერა უინულად, რომლის გალხობა ეოგედისეფრის მოსხობას ნიშნავს. ამით, როგორც ზემოთ ვსთქვით, არ გაჭირება ის, თუ რაგორი იყო ჩვენი თეატრალური მდგომარეობა, მისი დირსება-ნაკლულოვანობა კვლავ სინამდვილად იქმნება, მაგრამ ჩემთვის, ან მომავლებისთვის იგი დაშორებული იქნება. ჩვენ და მომავლებსაც გვესაჭიროება ის „სარკე“, რომელიც ჩვენი ქვეყნის მრავალ მხრივ სინამდვილეს გვაჩვენებს; ამავე დროს უცხო ქვეყნის კლასიკურ შემოქმედების სიტყვიერებასაც გვაზიარებს და მით კატობრიობის წრეში ამ დარგითაც საოანაბდო ადგილს დაგვიმკვიდრებს. ეს „სარკე“, რაგორც გამოსახულება, არსებობს მაგრამ მისი გასუფთავების, განსხვავებისა და მოხუქურთმავებულ ჩარჩოში მოთავსებისა მაგიერ, დღითი-დღე მეტის მტვერით იფარება, სხვისთა ძალიერება ნელდება და ნარჩო ხომ თითქმის სრულიადაც არა აქვს. ბევრს, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და იდაპარაკებენ მის კეთილსაოფელად, მაგრამ ამ „ბევრს გეგმების ბატარა ნაოფი რომ გამოადინონ“ ამის საბუთს თითქმის არასეფერი გვაძლევს. არა გვაქვს შენობა, თითქმის არა გვავს განმსახიერებელი და არა გვაქვს განსასახიერებელი. ეგედა ამისათვის კი შეძლებაცა გვაქვს, ადგილიც; ბუნებაც გვაძლევს და ფართო საზოგადოებაც, მხოლოდ, დრმად ბატიფცემულ ნ. ნიკოლაძისა არ იყვეს „შტაბი არა გვაქვს“. აბა შეასრულონ დანაკისრები, აბა ერთი და იგივე ბირი ათასი საქმით ნუ დაიტვირთება, აბა შარი, ქიშპობა საამქმედო ასპარეზიდან მოლად განიდევნოს, ხალხის წინ სინდისიერი მომუშავენი იყვნენ, თუ სხვა კურთხეულ ქვეყნის შვილთ ერთი ათად არ გავსწრებდით.

მ. კიაზოშვილი

(დასანრული იქნება)

რუსეთის რევოლუცია

ძველი მოავრობა დაემხო თებერვლის 27. ქვეყნის მართვა-გამგეობა და წესიერების დამყარებას საოანაგეში ჩაუდგა სახელმწიფო საოთბიერო ადმინისრულებელი კომიტეტი და მუშათა დეპუტატების საბჭო (სურათი იხ. ბირველ გვერდზე).

ჯარმა მხარეადე მონაწილეობა მიიღო ძველი მთავრობის დამხობაში.

დროებითი კომიტეტები შეადგინეს რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში.

ნიკოლოზ მეორე მარტის 2 ტახტიდან გადადგა შვილითურთ და ტახტი თვის ძმას მიხეილს გადასცა, **მაგრამ** მიხეილმა განაცხადა: ვიდრე დამფუძნებელი კრება არ მისურვებს ტახტზე ვერ ავალო.

✦ **უკვე შესდგა** პასუხისმგებელი სამინისტრო (სურათი მეცხრე გვერდზე).

✦ **ბევრ ქალაქში** გადააყენეს პოლიცია, ჟანდარმერია და სხ. მოხელენი. ზოგი მათგანი ბრძოლის ველზე გაიგზავნება, ზოგი დატუსადებულია.

✦ **თითქმის ყველა ქალაქში** იმართება სახალხო ურილობანი, რომელნიც ახალ მთავრობას ნდობას უცხადებენ.

✦ **დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს** ძველი მთავრობის ბურჯნი—მინისტრნი ანუ ნამინისტრალნი: სუხომლინოვი, გორემიკინი, პროტოპოპოვი, მაკლაკოვი, ბარკი, შტიურმერი და სხ.

✦ **ამნისტია** გამოცხადდა. ციხე-კატორღებიდან გაანთავისუფლეს პოლიტიკური და სარწმუნოებრივ საქმეებზე დასჯილნი.

✦ **მოქალაქე კერენსკიმ,** იუსტიციის მინისტრმა, განკარგულება მოახდინა, სწრაფად გაანთავისუფლონ გაციმბირებული ნადეპუტატარნი და დიდის პატივისცემით ჩაიყვანონ პეტროგრადს.

✦ **მეფის ნაცვალმა** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, რომელიც რუსეთის მხედრობის მთავარსარდლათაა მიწვეული, ახალი მთავრობა აღიარა და ყველას მოუწოდებს, ახალ მთავრობას დაემორჩილნენ.

✦ **ჯარმა—218 პოლკმა,** თბილისში ოთხშაბათს მარტის 8-ს, დიდი მანიფესტაცია მოახდინა. მთელი ჯარი თოფებით იყო შეიარაღებული, წითელი დროშებით ზედ წარწერით: „გაუმარჯოს ახალ მთავრობას", „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს", „გაუმარჯოს თავისუფლებას" და სხ. სარდლებს ცოცხალ ვარდის წითელი თაიგულები ეჭირათ, ზოგთ წითელი ლენტები ჰქონდათ მხარზე გადაკრული.

✦ **ყარსის** ციხის უფროსი და სხვა მოხელენი დაატუსაღეს.

✦ **თბილისის** პოლიცია შეიცვალა, პოლიცმეისტერი დაატუსაღეს, პოლიციის უფროსობა პრაპ. კოგანს მიანდეს.

✦ **თბილისის** აღმასრულებელი კომიტეტი შესდგა. მთავარ აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია: ნ. ჟორდანია, ეგსეევი, ერზეკიანი, დომთაძე, ხანოიანი, ჩერნიშევი, ა. ჩხაიძე, ჭიაბრიშვილი, მაისურაძე, სილ. ჯიბლაძე და ს. რაზმაძე.

✦ **ნოე ჟორდანია** არჩეულ იქმნა მუშათა დეპუტატების თავმჯდომარედ

✦ **ციმბირში** გადასახლებულთა თაოსნობით დატუსაღებულ იქმნენ ადგილობრივი ადმინისტრაცია და მართვა-გამგეობა თვით ჩაიგდო ხელში.

✦ **დროებითი მთავრობის პროგრამა:** 1) სრული დაუყოვნებლივი ამნისტია პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და მათ შორის ტერორისტულ, სამხედრო აჯანყების და აგრარულ დამნაშავეთათვის; 2) სიტყვის, ბეჭვდის, კავშირების, კრებების, გაფიცვების თავისუფლება. ეს პოლიტიკური თავისუფლება შეეხება სამხედრო პირებსაც, რამდენათ ამას ხელს შეუწყობს სამხედრო პირობები; 3) მოსპობა ყოველგვარ წოდებრივ, სარწმუნოებრივ და ეროვნულ შევიწროებისა; 4) დაუყონებლივი მომზადება დამფუძნებელ კრების მოსაწვევათ, რომელიც შესდგება, საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით· დამფუძნებელი კრება განამტკიცებს კონსტიტუციონალურ მართვა-გამგეობას; 5) სახალხო მილიციის მოწყობა პოლიციის ნაცვლათ არჩეულ უფროსით, რომელიც დაემორჩილება ადგილობრივ თვითმართველობებს, 6) თვითმართველობების მოწყობა საყოველთაო კენჭის ყრით; 7) იმ ჯარების დატოვება პეტროგრადში, რომლებიც ღებულობდენ მონაწილეობას რევოლიუციაში, 8) სამხედრო დისციპლინის დაცვა, მაგრამ იმავე დროს სამხედრო პირებს ენიჭებათ ყველა მოქალაქობრივი უფლებები.

ხალხის აღდგომა—სახალხო მიტინგი

ძველის მთავრობის დამხობამ და ახალის შედგენამ ხალხში უზომო აღფრთოვანება გამოიწვია. თავისუფალმა ხალხმა მარტის 5 ნაძალადევში საზეიმო ურილობა გამართა. დილიდანვე ქალაქში დიდი სიწყნარე იყო, ყველა ნაძალადევისკენ გაიცქირებოდა. აქ შეიკრიბა რამდენიმე ათი ათასი კაცი და ქალი, უმეტესად მუშა ხალხი და ჯარი. სარევოლიუციო ჯარისკაცნი რაზმობლივ მოდიოდენ, წითელი დროშებით და შე-

იარაღებულნი, მარსელიოზის დაკვრით. მიტინგზე აღმართული იყო ხუთი ტრიბუნა. ტრიბუნაზე პირველად გამოჩნდა მუშათა მხცოვანი მოღვაწე სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც ხელებ გაშლილი, თავმოხდილი მიესალმა ზღვა ხალხს. მეტის სიხარულით აღვსებულმა ძლივს აღმოსთქვა „აღსრულდა!" ხალხმა მქუხარე ტაში დაჰკრა. ეს წუთი იყო უმაღლესი ნეტარების განცდის წუთი. შემდეგ ჯარისკაცთა და მუშათაგან იმდენი მოლაპარაკე აღმოჩნდა, რომ ბევრი ჩაწერილი ორატორი არც კი გამოსულა სალაპარაკოდ. მიტინგზე მოვიდნენ ერთი პოლკოვნიკი თავის შეიარაღებული ჯარისკაცებით და რევოლიუციონურ მთავრობას ერთგული სამსახური აღუთქვა; ტრიბუნაზე ავიდა კავკასიის ჯართა შტაბის უფროსი გენერალი ბოლხოვიტინსკიც და ჯარს მოუწოდა—ახალს მთავრობას უერთგულეთ, ძველს საუკუნოდ განუსვენოსთ.

მიტინგზე მოვიდნენ აგრეთვე ახალი მთავრობის განკარგულებით ციხიდან გამოშვებულნი პოლიტიკურნი.

მიტინგი, მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობით, სალამს უძღვნის ახალს მთავრობასა და ადგენს:

1) ადგილობრივ სახალხო ორგანოებისაგან შესდგეს მთავრობა.

2) გადაყენებულ იქნეს მთელი ძველი ადმინისტრაცია და შინაური დაცვის საქმე გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობებს, ხოლო ძველი პოლიციელები ბრძოლის ველზე გაიგზავნონ.

3) ჯარის ძველი ხელმძღვანელნი შეიცვალოს ახალ წესწყობილების ერთგულ მიმდევრებით.

4) ეროვნებანი გათანასწორებულ იქმნენ უფლებით.

5) ყველა პოლიტიკურ საქმეებისათვის დასჯილთა მიენიჭოს სრული ამნისტია.

6) მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებით, განურჩევლად სქესისა.

7) დამფუძნებელი კრება დაუყონებლივ უნდა შეუდგეს კონსტიტუციის გამომუშავებას ქვეყნის მონობისაგან განთავისუფლებას და ზავისა და ომის საკითხის გადაწყვეტას.

წამოყენებულ იქმნა აგრეთვე დემოკრატიულ რესპუბლიკისა და საქართველოს ავტონომიის მოთხოვნილება.

დამსწრეთ სადღესასწაულო ელფერი ედო.

ი—ი

ხმა სოფლიდან

(ჩემი მოწერილის გამო იხ. „თ. და ც." № 4 1917 წ. „მოწოლილი ნაღველი"

გამარჯობა, ძმაო იოსებ!
აი ახალ წელიწადი!.,.
მოსჩანს გემი სამშვიდობოს,
ვაშა მუშებს, ვაშა მეზღვაურებს!...

ეხლა კი გილოცავ, ძმაო, შობა-ახალწელიწადს—აღდგომით ხელი ხელ ჩაკიდებულებს. გვწყდებოდა მათკენ თვალები და აგერ რუსეთიდან მოდიან ხელი-ხელ გადახვეულები. ამოვიდა რუსეთში თავისუფლების მზე და ჩვენი იქით ჩასული მზეც ხომ იქიდანვე უნდა ამოვიდეს...

ის, რაც მენატრებოდა სამარეში მაინც ჩამოეძახნათ, სიცოცხლით ვესწრები და ახლა ბედნიერი და, კიდევ მეტიც ბედნიერზედ ბედნიერი ვარ ძმაო, რომ ნაღველი არ ჩამყვება ახლა თუნდაც მოვკვდე, რადგან შორდება მზეს ვეშაპი, მიზეზი ცხოვრების ფრთონვისა, ამოსცურავს მზე ცის სივრცეზედ ყველასთვის სწორი და ახლა-კი ვსუნთქავ თავისუფლად. კარი ეღება მომავალს, აეშვება ამირანი!..

არ ჩამქკნარა, აყვავდება ჩვენი ერის
მომავალი,
არ მომკვდარა, ცოცხალია მიჯაჭული
ამირანი;
აეშვება, აივსება ჩვენი გმირების სავანი,
ხმალი კალმად შეიცვლება და უფლებათანასწორი!..
მზე ამოდის ამაჭიკჭიკა სითბომ...
ჯერ წელი გამითბეს კარგა!!.

დიმ. სოლოლაშვილი.

ს. კაპრეთი.

მგოსანი

გ. ქუჩიშვილი

დღეს სახალხო სახლში სალიტერატურო დილას მართავს

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

უცხო სიტყვა ლექსი ონი

შედგენ. იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორედ შევსებულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба"—Іос Имедашвили.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოკრშაბათი—სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი—სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი—ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი—. საოჯახო საღამო.

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები – 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა—კონცერტების—სინემატოგრაფ—საღ. 8 ნახ. ს.

ახალი კლუბი

1 კვირის პრ. მარტის 12-21

კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ოკრშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი—საოჯახო საღამო

ოთხშაბ.—სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ.—საოჯახო საღამო

კვირა—რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

ეკონომიური
ბანკი
ეროვნული
ბანკი
ეროვნული
ბანკი
ეროვნული